ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3527625

ნომერი: AR1536418

თარიღი : 31.08.2017

გაცემის თარიღი : 12.09.2017

გაცნობის თარიღი : 12.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ჯიქიას ქ. მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ივანე ლაღიძე პ/ნ 01009019141
- თბილისი ე.მინდელის ქ. N 1 ბ. 53

ორგანიზაცია:
- შპს "მანსი" არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტი კოდი: 204888390

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51–ე, 52–ე, 96–ე, მე–100 მუხლების, VI თავის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლების, ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 და მე–3 მუხლების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AAR1536418 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ჯიქიას ქ. მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებული მიწის ნაკვეთების (ს.კ: N 01.14.05.008.283, N01.14.05.008.064, N01.14.05.008.188, N01.14.05.008.190, N01.14.05.008.063, N01.14.05.008.226) საზღვრების კონფიგურაციაში ცვლილების შეტანას, გაცნობებთ შემდეგს:
წარმოდგენილი სახით, სამსახური არ არის წინააღმდეგი ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, არ არის წინააღმდეგი მოახდინოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების საზღვრების ცვლილება. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით საჭიროა წარმოადგინოთ ყველა მესაკუთრეების მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული, განმცხადებლისთვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან მესაკუთრეები დარეგისტრირდნენ თანაგანმცხადებლად. დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან წარმოდგენილი ესკიზით ხდება ზედდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ N01.14.05.003.010) წარმოსადგენია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობა აღნიშნული მიწის ნაკვეთის საზრვრების კორექტირებაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ გაცნობიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.